



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიური წაულა



კავკასიური წაულა

კავკასიური წაულა, (*Mustela lutreola turovi*), ძუძუმწოვარი ცხოველი კვერნისებრთა ოჯახისა. მისი სხეულის სიგრძეა 45 სმ, კუდის – 20 სმ. თითებს შორის აქვს უმნიშვნელო საცურაო აპკი. იკვებება პატარ-პატარა მღრღნელებით, ნაირგვარი ფრინველით, ბაყაყებით, თევზებით. თავს აფარებს სოროს, რ-საც თვითონვე თხრის. ცხოვრობს წყალსატევების მიდამოებში. საქართველოში გავრცელებულია ბზიფისა და ფსოუს ხეობებში. უნიკალური და გადაშენების გზაზე მდგომი ქვესახეობაა, შეტანილია „საქართველოს წითელ წუსხაში“. სარეწაო ღირებულება არა აქვს.

ა. ჯანაშვილი
